საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიცირების კურსი

www.sai.ge

დააჩქარე სვლა

წარმატებისკენ

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ქ. თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96, ტელ.: (032) 2 054 615

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება არის საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ექსკლუზიური უფლება, რომელიც ანიჭებს პირს **საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებას 5 წლის ვადით.**

რას ნიშნავს იყო სერტიფიცირებული საჯარო აუდიტორი?

ადასტურებთ, რომ გაქვთ ცოდნა:

- უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესახებ;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესახებ;
- საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის შესახებ;
- ჩაატაროთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციის საჯარო ფინანსების მართვის შესახებ და შეგიძლიათ შეაფასოთ სახელმწიფო რესურსების გამოყენება.

იმისთვის, რომ გახდეთ სერტიფიცირებული:

01 **უნდა ფლობდეთ ბაკალავრის ხარისხს.**

02 **დარეგისტრირდით**
გაიარეთ რეგისტრაცია საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ვებგვერდზე (www.sai.ge).

03 **დაიწყეთ სწავლა და ჩააბარეთ გამოცდა**
მოემზადეთ და ჩააბარეთ სერტიფიცირების კურსის შემადგენელი ხუთი მოდულის გამოცდა.

04 **გახდით სერტიფიცირებული**
დააგროვეთ 65%-ზე მეტი და მიიღეთ სერტიფიკატი.

სერტიფიცირების პროგრამა

2020 წელს სრულად განახლდა სერტიფიცირების პროგრამა:

- ✓ სასწავლო მოდულების მიხედვით შეიქმნა პრაქტიკული სახელმძღვანელოები და საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად მსმენელებს მიეწოდებათ სტანდარტის ძირითად მოთხოვნებზე პრაქტიკული მითითებები, რაც ეფუძნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეთოდოლოგიებსა და გამოცდილებას;
- ✓ მონაწილეებს დამხმარე მასალად გადაეცემათ აუდიტის ძირითადი სამუშაო დოკუმენტების ნიმუშები.

კურსი მოიცავს შემდეგ სასწავლო მოდულებს:

1. საბიუჯეტო კანონმდებლობა:

მონაწილეები შეისწავლიან საჯარო ფინანსების მართვის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ბიუჯეტის არსი, საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო სისტემები და საბიუჯეტო პროცესი, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, სახელმწიფო ვალი და პროგრამული ბიუჯეტი.

---

2. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები:

მოდულის ფარგლებში განიხილება მიმდინარე პერიოდში მოქმედი IPSAS სტანდარტები.

---

3. ფინანსური აუდიტი:

მოდულის ფარგლებში განიხილება ფინანსური აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს-ISA 200 - 720 ჩათვლით).

---

4. შესაბამისობის აუდიტი:

მოდულის ფარგლებში განიხილება შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ISSAI - 4000).

---

5. ეფექტიანობის აუდიტი:

მოდულის ფარგლებში განიხილება ეფექტიანობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ISSAI-3000).

სერტიფიცირება სტუდენტებისთვის[1]

სტუდენტები, რომლებიც ირიცხებიან მაგისტრატურის, ან დოქტორანტუროს უმაღლესი განათლების სასწავლო საფეხურზე, ისარგებლებენ გადახდის შეღავათიანი პირობებით:

- ✓ სასწავლო კურსის ღირებულება – **750 ლარი**
  და
- ✓ გამოცდის ღირებულება – **150 ლარი**.

[1] სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, უნივერსიტეტს და საჯარო აუდიტის ინსტიტუტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.